ოქმი:**ო37. 37232973**

თარიღი:**24/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ტარიელ აროშიძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი,23 ოქტომბერი

სოფ.კონჭკათი

16:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, მერის წარმომადგენლები სოფელ თხინვალის,სოფელ კონჭკათისა და სოფ.მერიის ასევე კოლეგები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს.პატივი მიაგო უახლოეს პერიოდში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას. დ. დარჩიამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ ტარიელ აროშიძე არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ტარიელ აროშიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა სტიქიის ზონებს:სოფელ კონჭკათში, ხვარბეთსა და გოგორეთის უბანში. განსაკუთრებით დაზიანდა საცხოვრებელი სახლები.გზები და სოფლების ინფრასტრუქტურა.მოხდა დამეწყრილი გზების გასუფთავება, მოსახლეობის გასახლება დამეწყრილი ზონებიდან და მათი

გადაყვანა დროებით საცხოვრისებში. აღსადგენია კონჭკათისა და ხვარბეთის დაზიანებული გზები,რათა მოსახლეობამ ადვილად შეძლოს ციტრუსის მოსავლის აღება და რეალიზება. ისაუბრა მომავალ პრიორიტეტებზე. აღნიშნა, რომ უახლოეს დროში სოფელ მერიაში აშენდება საბავშვო ბაღი, გათვლილი 75 ბავშვისთვის, ასევე სოფელ კონჭკათში - საბავშვო ბაღი 50 ბავშვისთვის. ხოლო ნაღობილევსა და მერიაში აშენდება ახალი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სკოლა. 100-მდე ოჯახს დაუხურეს საცხოვრებელი სახლი. უახლოეს დროში გაკეთდება პროექტები,თუ სად რა და როდის აღდგება დაზიანებული ობიექტები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ტ.არუშიძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი